

საქართველო

საქართველო
1995 წლის
აგვისტოს
22-29

საქართველოს ბავრთიანებულნი რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 31 (1432)

22-29 აგვისტო, 1995 წ.

“თავისი ყანასა მკიანო...”

ნოდარ ბრიგალაშვილი

ერთ წესიერ ლიტერატორს ერთმა თანხიროსმა კაცმა ამ რამდენიმე წლის წინათ საჯარო პოლემიკა გაუმართა. წესიერი ლიტერატორი, გარდა პატიოსნებისა, დიდი ნიჭითა და ფართო ერუდიციითაც იყო დაჯილდოებული, თანხიროსი მოკამათე კი გრაფომანი და კრემლი „დანოსების“ გაზაფხულზე დაოსტატებული, ქართულ პატრიოტთა დამბეზღებული კახლდათ.

პოლემიკა წმინდა მეცნიერულ საკითხებს ეხებოდა. ერთ მშვენიერ დღეს თანხიროსი ხვდება წესიერს და ღიმილით მიმართავს: — ჩემო ნოდარ, (იგული-

სხმება ცნობილი გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე) დამანებე თავი, შენ ჩემი დამმარცხებელი არა ხარო.

ამ ჩიტირვითა კალმოსნის მუქარაზე კაკაბაძეს გაუცინია, კი, მაგრამ, შენ როგორ უნდა დამმარცხო, — უკითხავს.

— როგორ და მარტივად, შენ პატიოსანი კაცი ხარ, ჩემი უკადრებელი კი ქვეყანაზე არაფერია, მომეფი, დამანებე თავიო...

მოეშვა... რა ვიცოდი, ჩემი სენისის დარად მსგავს დღეში თუ აღმოვჩნდებოდი. რასაც გაზეთი „მთაწმიდა“, იგივე „ავგიას თავლა“, კადრულობს ჩემსა

და განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტიის მიმართ, „მეგობრული“ პოლემიკის ფარგლებში ნამდვილად ვედარ თავსდებოდა...

ასე მაგალითად, საჯარო პოლემიკაში პირადი საუბრების, თან არარსებული დიალოგის გამოტანას რა ჰქვია?

როგორ ვეკამათო კაცს, კერძოდ თეიმურაზ მირიანაშვილს, რომელიც შავით თეთრზე წერს, რომ „აკაკი ბაქრაძის მოღვაწეობა პერესტროიკის დაწყების შემდეგ წმინდა დესტრუქციული ხასიათისაა“, ხოლო ბრეჟნევის იდეურმა შვილმა რომან მიმინოშვილმა კი

მისი აზრით „ჭეშმარიტი დავალი დასდო ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას“.

მირიანაშვილის გაზეთში ეტყობა სრული წყვედიადია.

შეგარდნადის ყველაზე ერთგული მხარდამჭერი გაზეთი „მთაწმიდა“ — დაღადებენ გაპოცემული მირიანაშვილი და რედაქტორი თასოვეი.

ადრე ვწერდი: ეს ის თასოვეია, გამსახურდიას დროში გამსახურდიას მტრების დაუძინებელი მტერი რომ იყო, შეგარდნადის დროში კი აშეგარდნადის მტრების მოსისხლე მტერია-მეთქი. ამათ ეტყობათ, ბოლშევიკების დარად, არც არაფრისა სცხვენიათ და არც

არაფრისა ეშინიათ. კირილე მიმინოშვილის არ იყოს, სადაც სუფრაა (ანუ სადაც ძალაუფლებაა), ესენიც იქ არიან.

იძულებული გამხადეს, შემოგთავაზოთ ერთი დოკუმენტი, რომელსაც შეგარდნადის ყველაზე დიდი მხარდამჭერი თასოვეი გამსახურდიას დროში აწერდა ხელს, ახლა კი მე მითახავს, შეგარდნადის ყველაფერში თავს რატომ არ უკანტურებო... მკითხველმა განსაჯოს, ვის რა მორალური უფლება აქვს თავისი პოზიციების სიმყარეზე ან ელემენტარულად კაცობაზე ილაპარაკოს საჯაროდ...

შეკითხვები ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

1. ბატონო ედუარდ, თქვენ თითქმის ექვსი წელი დაჰყავით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. ამ ხნის მანძილზე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არცერთი ოფიციალური ვიზიტის, შეხვედრის დროს, არცერთ ინტერვიუსა თუ მიმართვაში არ შეხებინართ თქვენი მშობლიური ქვეყნის — საქართველოს პრობლემებს. რას მივაწეროთ ეს? ნუთუ შედეგად მიგანდათ მსოფლიოსათვის იმის შეხსენება, რომ ეროვნებით ქართველი ბრძანდებით?

2. რა პოზიცია გაქვთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, როგორ აფასებთ მრავალპარტიულ არჩევნებში ბლოკ „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვებას?

3. იცოდით თუ არა წინასწარ აპირდით მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, და თუ იცოდით, რა იდონეთ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად? რა კომენტარს გაუკეთებდით ლიგაჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ თქვენთვის

საც და ბატონი გორბაჩოვისთვისაც ცნობილი იყო, თუ რა მზადდებოდა თბილისში და უფრო მეტიც, რომ ეს იყო თქვენი ერთობლივი გადაწყვეტილება? რა აზრის ბრძანდებით სსრ კავშირის პროკურორის იმ განცხადებაზე, თითქოს, 9 აპრილს თბილისში მომწამვლელი გაზეთი არ გამოუყენებიათ?

4. იცოდა თუ არა წინასწარ კრემლის ხელმძღვანელობამ თქვენი გადადგომის შესახებ? კონკრეტულად რომელ ძალებს, რომელ პიროვნებებს ვულისხმობდით როცა ბრძანეთ, საბჭოთა კავშირს დიქტატურის საფრთხე ემუქრებოდა?

5. თქვენი აზრით, რა მოუტანეთ საქართველოს ესოდენ მაღალ პოსტზე ყოფნისას, ზიანი თუ სარგებლობა?

6. თქვენი ოპონენტების აზრით, საქართველოში თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში გაძლიერდა რუსიფიკაცია და ქართული ენის დევნა, „ინტერნაციონალური ძმობის“ ნიშნით უცხო ერების დემოგრაფიული ექსპანსიისათვის ხელშეწყობა, რაც გამოიხატა აფხაზი

პროვოკატორ-სეპარატისტების დაუსჯელობაში, როკის გვირაბის გაყვანაში და სამაჩაბლოს ოს ექსტრემისტებსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში, რამდენად შეეფერება ეს მტკიცებები სინამდვილეს?

7. დანიშნის პირველი დღეებიდანვე, თქვენ გამოუცხადეთ ომე კორუფციას და ნეგატიურ მოვლენებს. ამავე დროს, თქვენ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით ყველაზე მეტად კორუმპირებულ დაწესებულებას — შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო შემდეგ კორუფციის სათავეს — პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რა გააკეთეთ უშუალოდ ამ დაწესებულებებში კორუფციის აღმოსაფხვრელად?

8. 1978 წელს დახვრიტეს ქართველი პატრიოტი ვ. ვაჩაშვილი — მთავრობის შენობასთან საბროტესტო აქციებისათვის; 1983 წელს ჯალათებმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სიცოცხლე მოუსწრაფეს შურნალისტ ნაზი შამანაურს — დუშეთის რაიონში არსებული კორუფციის შესახებ მამხილებელი

მასალების გავრცელებისათვის; 1984 წელს დახვრიტეს უდანაშაულო მღვდელი თევდორე ჩიხლაძე — ვითომდაც ე.წ. „თვითმფრინავის საქმესთან“ კავშირისათვის; 1977 წლიდან 1984 წლამდე დაატარეს და გაასამართლეს ათობით ადამიანი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობისათვის, მათ შორის: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვანი. როგორი იყო თქვენი როლი?

9. თქვენ დღეს დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის კურსის გამტარებლად გიცნობენ, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თქვენ გამოდით ბორის ელცინს, როგორც „პარტიის მოლაპატეს“ და ყოველნაირად მავნე პიროვნებას. როგორი პოზიცია გაქვთ დღეს ამ საკითხზე?

10. ამაჟამად საბჭოთა და მსოფლიო პრესაში არნახული დეზინფორმაციის კამპანია მიმდინარეობს საქართველოს წინააღმდეგ. როგორია თქვენი როლი უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის საქართველოზე სწორი ინფორმაციის მიწოდებაში?

11. როგორ გესახებათ თქვენი როლი მომავალ საქართველოში?

12. არსებობს აზრი, რომ საქართველოში მგელაძე-იოსელიანის „მოძრაობის“ იდეური ინსპირატორი და ცენტრთან დამაკავშირებელი თქვენ ბრძანდებით, რომ დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციონერები თქვენი ინსპირაციით მოქმედებენ, რას გვეტყვიათ ამის შესახებ?

13. მიიღეთ თუ არა მონაწილეობა დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე და რას მიეცით ხმა? მიგანჩიათ თუ არა, რომ საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას?

14. ერთ-ერთ კანადელ ჟურნალისტთან საუბრისას განვიცხადებთ, — საქართველო როგორ გახდება თავისუფალი, როცა მას ღვინის გარდა არაფერი გააჩნიაო. რამდენად შესაძლებელია ეს სიმართლეს და მომხრე ხართ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობისა?

ბიას თასოვეი

(ხელს აწერს კიდეც მამსნი შურნალისტი)



გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისათვის

პატივცემულო მოქალაქეო! ბიზნესმენებო!

საქართველოს უკეთესი მომავლით დაინტერესებულ ადამიანებო!

ჩვენს ქვეყანას აქვს ამოცანები, რომელსაც ერის უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. საჭიროა ხელისუფლებაში ჯანსაღი (ანალი ტიპის) ადამიანების მოსვლა არჩევნების (და არა ძალადობის) გზით, რასაც დიდი ხარჯები ახლავს. საჭიროა სახელმწიფოსთან შეზრდილი მაფიის უვნებელყოფა, რაც ვერ მოხერხდება მანამდე, სანამ ხელისუფლებაში ანალი ადამიანები არ მოვლენ. ეს ძალები დღეს ძლიერია იარაღითაც, ბანდური ორგანიზაციითაც და ფინანსურადაც. სახელმწიფოს და საზოგადოების მართვის არსებული სისტემის წყალობით. მათთან დაპირისპირებას სჭირდება პატიოსან ადამიანთა ორგანიზაცია, ორგანიზაციას კი სჭირდება დაფინანსება. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ისახავს. ჩვენი პარტია, ბევრი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციისაგან განსხვავებით,

არასოდეს მიმართავს დაფინანსების ისეთ მეთოდებს, როგორცაა უბრინციპობითა და შემგუებლობით სახელისუფლო სტრუქტურების (თუ პოსტების) გამოყენება შემოსავლების წყაროდ. გამოძალგა ან საექვო ხასიათის კომერცია, ჩვენი საქმიანობის დასაფინანსებლად ძირითადად ორი გზა არსებობს: საწევრო გადასახადი (რაც ძალიან მცირეა ჩვენი ამოცანების გადასაწყვეტად) და შემოწირულობა, ამიტომ ვთხოვთ საქართველოს მოქალაქეებს, ყველა პატიოსან ბიზნესმენს, ხელი შეუწყონ კანონით დაშვებული ფორმებით ჩვენი საარჩევნო საქმიანობის დაფინანსებას.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გაძლიერება ცივილიზებული, ღია, პატიოსანი მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერის გზით ნიშნავს წესიერი ბიზნესის აღორძინებას, ჯანსაღი ეკონომიკური ვითარების შექმნას, მეწარმეების დაცვას კრიმინალური სამყაროს შემოქმედებისაგან. კეთილსინდისიერი კონკურენტული გარემოს ფორმირებას. ჩვენ გბირდებით, რომ არ დაგაკლებთ ძალისხმევას და ყოველნაირად შევუწყობთ ხელს ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნას, სამეწარმეო კანონმდებლობის სრულყოფას, მოსახლეობის სოციალური დაცვის ანალი მექანიზმების ამოქმედებას. გეცდებით მოგაცილოთ თავიდან სახელმწიფო თუ არასახელმწიფო რეკეტი, ხელი შევუწყობთ პატიოსან და კომპეტენტურ სახელმწიფო მოხელეთა გამოვლენასა და დასაქმებას. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისათვის ფინანსური მხარდაჭერა ნიშნავს, მომავალში არა მარტო თქვენი საქმის დაცვას, არამედ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების სიმშვიდეს და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მთელს ქვეყანაზე, წესრიგის დამყარებას, საქართველოდან იძულებით წასული საქმიანი ადამიანების უკან დაბრუნებას.

ყველა მოქალაქეს, ვისაც სურს არჩევნებში მხარში ამოუდგეს ჩვენს საერთო საქმეს და აქვს საშუალება ფინანსური დახმარება გასწიოს, ვთხოვთ მობრძანდეთ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სათაო ოფისში, შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, თავისუფლების მოედანი; პუშკინის ქ. № 5
ტელ. 93-17-10; 93-17-03**

მიმართეთ ამ საქმისათვის შექმნილ სპეციალურ საფინანსო კომისიას.
საჭიროების შემთხვევაში დაამფინანსებელი ბიროვნების კონფედენციალობა უზრუნველყოფილი იქნება.

გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში

პარტიამ კირითაღად დაამტკიცა «რესპუბლიკელთა» საარჩევნო სიების სრული უმადგენლობა

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის 16 სექტემბრის და-
რბაზის სხდომამ დაამტკიცა საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული
სისტემით წარსადგენი საარჩევნო სუბიექტის „რესპუბლიკელების“ სრულ-
ლი სია. სიის პირველ ათეულს შეადგენენ:

1. ნოდარ ნათაძე
2. ვახტანგ ხმალაძე
3. დავით ბერძენიშვილი
4. ივლიანე ხაინდრავა
5. რომან გოცირიძე
6. თედო პაატაშვილი
7. ვახტანგ ძაბირაძე
8. შოთა ნადირაშვილი
9. ნოდარ გრიგალაშვილი
10. თამაზ დიასამიძე

დამტკიცებული 150 კაციანი სია გადაეცემა რესპუბლიკის შინაგან
საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახურსა და პროკურატურას,
რათა გაირკვეს დასახელებულ კანდიდატთაგან რომელიმე არის თუ არა
ექვემოთხსენილი დანაშაულებრივ საქმიანობასა და ფინანსურ მაქინაციებ-
ში. იყვნენ თუ არა ისინი ყოფილი სსრკ-ს თუ სხვა სახელმწიფოს
უშიშროების სამსახურის ფარული თანამშრომლები, რათა პარლამენ-
ტში მოხვდნენ მხოლოდ ღირსეული და მაღალი ზნეობის მატარებელი
ადამიანები.

ბრბ-ს პრესსამსახური

ამოქმედდნენ «რესპუბლიკელთა» წინააღმდეგ

მიმდინარე წლის 1 სე-
ქტემბერს მოხდა გაერთიანე-
ბული რესპუბლიკური პარტი-
ის რუსთავის რეგიონული ორ-
განიზაციის შტაბბინის დარბე-
ვა.

უცნობმა პირებმა ჩაღწვეს
შტაბბინის მინები, შეაღწიეს
შენობაში, გაიტაცეს საბჭოე-
ლი მანქანა და ნაწილი პარტიული
დოკუმენტებისა. მიმდინარე-
ობს გამოძიება.

გაერთიანებული რესპუბ-
ლიკური პარტიის პრესსამსა-
ხურის აზრით, ეს არის დაინ-
ტერესებული ძალების მიერ
ჩადენილი ქმედება, რომლის
მიზანია ხელი შეუშალოს რუ-
სთავის რეგიონულ ორგანიზა-
ციას აქტიურად წარმართოს
წინასაარჩევნო კამპანია.

ბრბ-ს პრესსამსახური

გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში
სწავლის გაგრძელების ან ენის შესწავლის
მსურველებმა გთხოვთ მოგემართოთ საქარ-
თველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და
ტექნოლოგიების კომიტეტთან არსებული
საინოვაციო ფონდის საქართველო-გერმა-
ნიის ერთობლივი ფორმა „A T GmbH“-ს,
ფორმა მოგეხმარებათ სასურველი სასწავ-
ლებლის შერჩევაში, საჭირო საბუთების გა-
ფორმებასა და გერმანიაში ორგანიზებუ-
ლად გამგზავრებაში.

ფორმასთან ასევე ფუნქციონირებს გერ-
მანული ენის შემსწავლელი კურსები, სა-
დაც სწავლა მიმდინარეობს ე.წ. PND-ის,
გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების მი-
საღები გამოცდა-ტესტირების პროგრამით.

ჩვენ მიმამართია: გ. ჭანტურიას (ყო-
ფილი ჯორჯიაშვილის) ქუჩა №12, ოთახი
909, ტელეფონი 98-85-38, 98-84-72

სამართველს რესპუბლიკის მეცნიერებისა და
ტექნოლოგიების კომიტეტთან არსებული საინოვაციო
ფონდის პრესცენტრი


რესპუბლიკელები მხარს უჭერენ აკაკი ბაქრაძეს



1995 წლის 16 სექტემბერს ჩატარდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზის სხდომა. სხვა
საკითხებთან ერთად განიხილეს საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიის მონაწილეობის საკითხი. დარბაზმა
დაამტკიცა პარტიის ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნებში ბატონ აკაკი
ბაქრაძეს კანდიდატურისათვის მხარდაჭერის შესახებ. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ძალისხ-
მევას არ დაიშურებს ბატონ აკაკი ბაქრაძის გამარჯვებისათვის. რესპუბლიკელებს მიაჩნიათ, რომ ბატონ
აკაკი ბაქრაძის სახით საქართველოს ეყოლება ქვეყნის ერთგული და მისი ინტერესების განუხრელად
დამცველი პრეზიდენტი.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესსამსახური

გაერთიანებული რესპუბლიკური პარ-
ტია განაცხადებს საქართველოს რესპუბ-
ლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზი-
დენტობის კანდიდატის აკაკი ბაქრაძის მხა-
რდაჭერის კამპანიას. პარტიის შტაბ-ბინაში
(ქობულაძის, პუშკინის ქმნ/7) გროვდება
ხელმოწერები კანდიდატის რეგისტრაცია-
ში გატარების მიზნით. მსურველებს
გთხოვთ მოზარდდეთ აღნიშნულ მისამარ-
თზე და თან ექონიოთ პასპორტი ან პირა-
დობის მოწმობა.



30 რიზონანსულად: 3. მე-20 ს-ის გამოჩენილი ინგლისელი მწერალი,
დრამატურგი 6. ბოსტნეული 9. დიდი ქართველი პოეტი, მოაზროვნე 10.
ლეკის ორმარცვლიანი მუხლი 12. ფირნში 14. მსხვილი საჯარისო შენაერთი
16. ამერიკელების მეტსახელი 17. უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონზე 18.
სოფ. ქობულეთის რ-ში 19. მე-16 ს-ის დიდი ფრანგი მწერალი 21. აგენტი
007 22. ოქროზე ან ვერცხლზე მოსევადებული ნახატი 24. ფრჩხილი,
რომელიც აერთიანებს რამდენიმე სუთსაზიან სანოტო სისტემას 27.
კონტინენტი 29. შინაური ცხოველი 30. მეცნიერება მეტყველების ნაკლისა
და მისი შეკურნალობის შესახებ 31. მუსიკალური პიესის ნაწილის გამოკრება
32. კომედიური ხასიათის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები.
მეტიკალურად: 1. გეგმა 2. საავტოტო, სარეკლამო ხასიათის ნახატი
წარწერით 4. სასენი ნიშანი 5. ნახევრად ძვირფასი ქვა 6. ბოძი 7. სიმღერა
ერთი ხმისათვის 8. მე-19 ს-ის ჩრ. კავკასიის ხალხთა პედალი 11. აღორძინება
13. საავადმყოფო ფურცელი 14. ერთი ნივთიერების ატომების შეღწევა მეორე
ნივთიერებაში 15. აღფრთოვანება 20. აღუქმადრე მაკედონელის მამა 21. ქვეყიდან
მესამე რეა. რომელზეც დამაგრებულია პრასელი 23. დამატება წინადადებაში
25. თამაში ხის ბურთებით 26. მე-18 ს-ის ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი
28. ოთხხმიანი ხეშიანი საკრავი 29. სწორი, ფლატე ადგილი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის
პასუხები:
თარაზულად: 5. რომანტიზმი 8. რეპინი 9. როიალი 11. სოდა 13.
პარადა 14. ირონია 17. ეპისტოლე 19. ვირტუოზი 21. ანტონიმი 22.
ინიციალი 23. ამბლუა 26. ბრამსი 29. ივერია 31. ტულა 32. აფსიდა 33.
იდეალი 34. ლითოგრაფია.
შპიულად: 1. რეალისტი 2. ეპიგრაფი 3. გოთიკა 4. ამპირი 6. მეტა-
7. ალღო 10. კარიკატურა 12. ტიპოგრაფია 15. სექცია 16. თვაცია 18.
ორბი 20. რომი 24. მეტაფორა 25. უტაიზანი 27. მეფე 28. იდეალი 29.
იშვია 30. ეტლი.

მერაბ ცხადაია



წლები გავიდა, მერაბ, შენს ეზო-
კარში შენი ხმა აღარ ისმის.
აღარ გაკითხავენ შენი უახლესი
მეგობრები.
შენი მოხუცი დედა მხოლოდ შენს
სურათებს იხუტებს გულში და შეუძმ-
რალი ცრემლით ალბობს შენს ლამაზ
სახეს. შენი და წლები ფრთამოტეხილი
დისტოვე მერაბ.
ზუგდიდს აკლიხარ, შენს უსხვყა-
რულს ქალაქს, აკლიხარ ქალაქის ქუ-
ჩებს. უკვე ათასწირგამოვლილ შენს
თანატოლებს.
გიგონებთ ძმო, გვახსოვხარ და
გვემახსოვრები, როგორც მოუჩინე-
ლი ტყვილი, ჩვენო უკვე 30 წლის ჰა-
ბუკო მერაბ...

მეგობრები

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი
დამოუკიდებელი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე,
თამაზ დიასამიძე, გელა ეზანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი,
ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყვისუფლავის მოედანი,
კუხიძის ქ. 5
შეიღწეული მასალაზე ავტორებს არ
უბრუნდებათ.
გაზეთის ინფორმაცია 66447
ფასი 1500 რუბლი,
შ. პ. კუხიძის ქ.

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99
93-18-41